

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია "კრისტალი" აცხადებს ვაკანსიას უფროსი ვებ დეველოპერი პოზიციაზე

ადგილმდებარეობა: თბილისი, სათავო ოფისი
განაკვეთი: სრული

„კრისტალი“ ქართულ ფინანსურ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიის მქონე ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც გამოირჩევა სოციალური პასუხისმგებლობის, გამჭვირვალობის და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების კუთხით, ამ მიმართულებებით კომპანიას თავისი საქმიანობის მანძილზე მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი აღიარება აქვს მოპოვებული. „კრისტალი“ უკვე 23 წელია წარმატებით ოპერირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, 50-მდე ფილიალის მეშვეობით მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული და განვითარებაზე ორიენტირებული ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებით, ხელს უწყობს ათასობით მომხმარებლის ეკონომიკურ განვითარებას.

„კრისტალის“ დიდი გუნდი აერთიანებს 1000 ზე მეტი ადამიანს, რომლებიც ქმნიან საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ კორპორატიულ კულტურას, რაც ნათლად გამოიხატება განვითარებაზე ორიენტირებულობაში, მეგობრული გარემოს შექმნაში, თანამშრომლებზე ზრუნვაში, გუნდურობასა და ერთმანეთის მხარდაჭერაში. სწორედ ასეთი გარემო და კოლევგიალური ურთიერთობები განაპირობებს იმას, რომ თანამშრომელთა დიდი ნაწილი უკვე მრავალი წელია კომპანიაშია დასაქმებული, რაც ნათლად აისახება კომპანიის სიძლიერეზე, სტაბილურობასა და წარმატებაზე.

„კრისტალი“ გთავაზობთ:

- პიროვნულ და პროფესიულ ზრდას
- მეგობრულ და პროფესიონალურ სამუშაო გარემოს
- ჯანმრთელობის დაზღვევას
- დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობას

ძირითადი მოვალეობები:

- პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური დავალების შექმნაში და ანალიტიკაში მონაწილეობის მიღება
- საჭირო პროგრამული უზრუნველყოფების შექმნა, ასევე შექმნაში მონაწილეობის მიღება
- შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის ექსპლუატაციაში ჩაშვების შემდეგ პროგრამული შეცდომების გასწორება, საჭირო განახლებების დამატება და დეველოპერული მხარდაჭერა

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება
- პროგრამირება: PHP, javascript, jQuery, CSS, HTML მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება
- MySQL/MS-SQL-მონაცემთა ბაზებთან მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება
- Linux ოპერაციულ სისტემასთან მუშაობის გამოცდილება

ჩვენი კომპანია დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის თანაბარ პირობებს უქმნის ნებისმიერ თანამშრომელსა და კანდიდატს, მისი რასის, რელიგიის, მრწამსის, სქესის, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

- T-SQL ან PL/SQL ენებზე მუშაობის გამოცდილება
- C++ ან C# ან Java ენებზე პროგრამირების გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად
- Linux ადმინისტრირების ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად

აუცილებელი უნარ-ჩვევები და პიროვნული მახასიათებლები:

- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი
- გუნდთან ერთად მუშაობის უნარი
- ორგანიზებული და დეტალებზე ორიენტირებული
- მუდმივად მზარდი და განვითარებადი
- დროის ეფექტურად მართვის უნარი;

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ რეზიუმე 2021 წლის 25 ივლისის ჩათვლით შემდეგ ელ. მისამართზე: vacancy@crystal.ge და სათაურის ველში აუცილებლად მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება. *(წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება)*

რეზიუმეების განხილვის შედეგად, დაკავშირება მოხდება მხოლოდ დადებითად განხილულ კანდიდატებთან ვაკანსიის დასრულებიდან მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში.

ჩვენი კომპანია დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის თანაბარ პირობებს უქმნის ნებისმიერ თანამშრომელსა და კანდიდატს, მისი რასის, რელიგიის, მრწამსის, სქესის, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.